

1911—1915 B.

ყმანის ძედდგე, ნიკეიში ავსტრიის საელჩოში იმართება თათბირი დიდ სახელმწიფოთა ელჩებს წარმომადგენელთა სომხეთის ოფფორმების წინასწარ პროექტს განსახილველად. ეს პროექტი შეიღუშვა სტამბოლის რუსის საელჩოს პირველი თარჯიმანი ბ. მანდელშტამმა. ამ პროექტის უზთარესი შინაარსი ესება ერთი ოლქის შედგენას ექვსივილაიეთიდან: აზრუმის, ვანის, ბითლისის, დიარბექირის, ხარფუთისა და სივასიდან, ზოგიერთ განაპირა მხარეების გარდა. პროექტით გუბერნატორათ ამ ოლქში უნდა იყოს ქრისტიანი, ოსმალეთის ქვეშევრდომი ან ევროპელი, სახელმწიფოთათანხმობით დანიშნული. იგივე გუბერნატორი არის ოლქის აღმასრულებელი უფლების მეთაური. პროექტისავე თანახმად არსდება საოლქო საბჭო, რომლის წევრებათ არიან ქრისტიანნი და მაჰმადიანნი თანასწორი რიცხვით. ამ პროექტის წინააღმდეგ ილაშქრებს გერმანია, რომელიც ამას ოსმალეთის სახელმწიფოს დარღვევად სთვლის. ამიტომ ნიკეის კომისია იშლება. გერმანია უცხადებს სომხებს ბ. ლეფსიუსის პირით, რომ იგი თანახმაა მთელი ოლქი ორ სექტორად გაჰყოს: აზრუმ-ვანი—ბითლისი და ხარფუთ-დიარბექირ-სივასი ორი გენერალ-ინსპექტორით, და რომ საოლქო და სათემო საბჭოებში ქრისტიანებისა და მაჰმადიანების თანასწორი წარმომადგენლობა კი არ უნდა იყოს, არამედ პროპორციონალური. რუსეთი ამ სა-

კითხვით ღუმობს გერმანიას და 10 ენ-კენისთვის ბ. გირსი და გერმანიის ელჩი თანხმდებიან ორი სექტორის შედგენაზე და ორ გენერალ-ინსპექტორის დანიშვნაზე ოსმალეთის-მერ, მხოლოდ დიდ სახელმწიფოთა წარ-დგენით. გერმანიის ელჩი თავის მხრით თანხმდება საოლქო წარმო-მადგენლობისა და თანამდებობათა სფეროში დაცული იყოს თა-ნასწორობის პრინციპი. ოსმალეთმა ამ პროექტზედაც უარი სთქვა, მო-ითხოვა, რომ გენერალ-ინსპექტო-რები ინიშნებოდნენ ოსმალეთის-მერ პარტო, დიდ სახელმწიფოებს კი უნდა ჰქონოდათ მხოლოდ უფლება მრჩეველები დაენიშნათ ამ გენე-რალ-ინსპექტორებთან. რუსეთი ამ კონტრაპროექტს არ დასთანხმდა, დაუთმო მხოლოდ პროპორციონა-ლურ წარმომადგენლობის საკითხ-ში. ბოლოს როგორც იქნა შეთა-ნხმება მოხდა 26 იანვარს 1914 წ. რუსეთის რწმუნებულმა ბ. გულკე-ვიჩმა და დიდმა ვეზირმა საიდ-ფა-შამ რუსეთ-ოსმალეთის შეთანხმე-ბაზე ხელი მოაწერეს. ამ უკანას-კნელი შეთანხმების თანახმად ორი სექტორის სათავეში სდგებოდნენ ორი გენერალ-ინსპექტორი უცხო-ელებისაგან არჩეულნი, რომელთაც ენიჭებოდათ უფლება მოხელეების გამოკვლიისა და ახლების წარდგენის დასანიშნავად; საადგილმამულო და-ვა სწყდებდა გენერალ-ინსპექტორე-ბის ზედამხედველობით; ხალხი და სასწრაფოებათა ურთიერთობა ირ-კვევდა საბოლოო აღწერის თანახმად. ამ დრომდე კი აზრებში, ვანში და ბითლისში უნდა არსებობდეს თანა-სწორი წარმომადგენლობა საოლქო და სათემო საბჭოებში (მეჯლისებსა და ანჯუმენებში). პარველი სექტო-რი შესდგება აზრებ-ტრაპიზონ-სი-ვისიდან, მეორე კი ვან-ბითლის-ხარ-ფუთ-დიარბექი-რიდან. ოსმალეთმა მოითხოვა მეშვიდე ვილაეთის შეერ-თება—ტრაპიზონისა და ჰორიზონ-ტალური გაყოფა რუსეთის წინააღ-მდეგ, რომელსაც სწადდა ვერტიკა-ლური გაყოფა. შეთანხმებაზე ხე-ლის მოწერის მერვე დღეს ბ. გუ-ლკევიჩმა გაუგზავნა რუსეთის მთა-ვრობას დეპეშა, რომელშიაც აღ-ნიშნა, რომ 26 იანვრის აქტს დი-დი მნიშვნელობა აქვს რუსეთის სა-ერთაშორისო მდგომარეობისათვის: **ოსმალეთი ვალდებულია კის-რულდეს რუსეთს წინაშე.** „ორა-ნების წიგნი“ თავდება დეპეშებით, რომელნიც გვეუწყებენ, რომ გენე-რალ-ინსპექტორებთან დანიშნული არიან ჰოლანდიელი ვესტენენკი და ნორვეგიელი გოფფი. მოყვანილია აგრეთვე სომეხთა კათოლიკოსის წერილი რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრთან. წიგნში ჩართულია ფრანგული ტექტი. პროექტები, ოქმები ენიჭიეს კომისიისა და აგ-რეთვე სტატისტიკური ცნობები ექ-ვის ვილაეთის მოსახლეობისა, ახალ ამბად უნდა ჩაითვალოს ის ცნობა-ნი, რომელნიც მოყვანილია აქვთ სამ რუსის კონსულის და რომელნიც 1912 წელს შეგებულა. წიგნში არ არის მოყვანილი სრულყოფილ სომ-ხური სტატისტიკური წყაროები, გარდა ორმანისის ცნობებისა და საპატრიარქოს ციფრებისა.

ზ.

თბილისის საადგილ - მამულო ბანკის მოქმედება 1914 წელს.

ორმოცი წელიწადი უკვე შეუს-რულდა ჩვენს საადგილ-მამულო ბანკს რაც არსებობს. გამოვიდა წარსული წლის მოქმედების ანგარიში. ამ ან-გარიშიდან ვტყობილობთ, რომ სა-ანგარიშო წელს გაუციათ დანახ-

საქალაქო 3.673.500 მან. და სა-სოფლო 753.900 მან. გაბათილე-ბულია სესხები საქალაქო 2.328.237 მან. 56 კაპ-სასოფლო 434.292 მ. 50 კ. ბანკს სულ ამ ეთაღ გაცე-მული აქვს სესხი 52.305.249 მანა-თისა და 45 კაპ. წინა წელთან შედ-რებით საანგარიშო წელს ღვრო ნაკლებად არის გაცემული სესხი. განსხვავება გამოიხატა 415.400 მან. ეს ვარეობა, რასაკვირველია, აიხ-სნება ომით, რომელმაც დაწოა გი-რავნობის ფურცლების ფასი და ძნელი გახდა მათი განადგება. სესხის მოთხოვნილებამაც ამიტომ იკლო. გაგვიგამ, თავის მხრით, რადგანაც ზოგიერთი ნაწილი კავ-კასიისა ომის ასპარეზად გადაიქცა, მოსპო სესხის გაცემა ამ ადგილებში და აგრეთვე იმ ადგილებშიაც, რო-მელნიც ომის ასპარეზზე ახლო იყ-ვენ, მაგ. ბათუმის და სოხუმის ოლქში, ქუთაისის გუბერნიის ერთს ნაწილში და ერევნის გუბერ-ნიისში. ამიტომ საანგარიშო წლის პირველ ნახევარში სესხი გაიკა-3.649.300 მანათისა, მეორეში კი, როცა გამოცხადდა ომი (18 ივლი-სიდან) მხოლოდ 773.100 მანათისა. საანგარიშო წელს ომის დაწყების შემდეგ გამეცობა იძულებული გამ-ხდარა ზოგიერთ მსესხებელბისათვის არა ჩვეულებრივი შეღავათი მიეცა გარდასახდების შეტანის დროს, რადგანაც დაგირვებულ მამულების შემოსავალი ძალიან დაწოა ომიანო-ბამ, ღვინის გაყიდვის აღკრძალვამ და მცხოვრებლების გამოყვანამ იმ ადგილებში, რომელნიც ომიანო-ბის გამო საშიში შეიქნენ. გამ-გეობას გაუყიდნა მხოლოდ 74 და-გირავებული მამული, ბანკს დარჩენია კი 26. საანგარიშო წელს გაყიდუ-ლია 27 ბანკზე დარჩენილი მამული. საანგარიშო წელს წმინდა მოგვსა დარჩა ბანკს 616.357 მან. 39 კაპ. წასრულ წელზე 127.297 მანათით 45 კაპ. მეტი. შეერთებულმა საკ-რებულომ გამგეობისამ და ზედამხე-დველ კომიტეტისამ იმ ზარალის დასაფარავად, რომელიც მოსალოდ-ნელია ომის შემდეგ ცალკე თანხად გადასდო ამ მოგებიდან 61.635 მან. 74 კ. ამ მოგებიდანვე 283.278 მან. 89 კ. გადაეცემა თბილისის გუბერ-ნიის თავდა-ახსაურობას საზოგადო კულტურულ მოთხოვნილებათა და-საკმაყოფილებლად. დანარჩენი მო-გება განაწილებულია ასე: ბანკის თანხის შესამატებლად გადადე-ბულია წესდების ძალით 214.786 მ. 98 კაპ. და გამგეობისა, დამფასებელ კომისიის წევრები-სათვის და ბანკში მოსამსახურეთა-თვის დივიდენდის მისაცემად 56.655 მან. 78 კაპ. ბანკს ორი საკუთარი უძრავი ქონებააქვს ერთი თბილისში ლორის-მელიქის ქუჩაზე, სადაც ახალი შენობა კეთდება, რომელზედაც და-ხარჯულია აქამდინ 343.540 მ. 23 კაპ.; მეორეც ბაქოში: შეძენილი აქვს სახლი ძველ პოლიციის ქუჩაზე № 20, ამ სახლის შეძენა ბანკს დასჯდომია 50.892 მან. 94 კაპ.

თბილისის გუბერნიის თავად-ახსნაურობის მოქმედების ანგა-რიში 1914 წელს.

საანგარიშო წელს თავად ახნა-ურობის შემოსავალს შეადგენდა: 1) თბ. საადგილმამულო ბანკ დან-გადმოცემული წმინდა მოგება 1913 წლისა: საზოგადო საქიროების თანხა 174.025 მ. 27 კ.; ექსპროპრი-ნარული თანხა 24.860 მან. 76 კ.; 2) ფასიან ქაღალდების პროცენტები 13.870 მ. 99 კ. 3) მიმდინარე ანგარიშის პროცენტები — 983 მ.

27 კ.; 4) საზოგადოება „კახეთისა“ და გორის მაზრის მემამულეთა ახნა-ნაგობის მიერ გადმოცემული პრო-ცენტები — 5139 მან. 60 კ.; 5) ხაზინიდან გადმოცემული სასტიკენ-დო ფული 20.000 მან., 6) სხვა და სხვა შემოსავალი 373 მ. 97 კ.; 7) თბ. ქარვასლის წმინდა შემო-სავალი 30.667 მ. 81 კ.; 8) მა-მულ „საგაბაშვილო-თხანავლიდან“ შემოსავალი 117 მ. 25 კ.; 9) ელექტრონის სადგურიდან 2.495 მ. 70 კ.; 10) შემოსავალს თავად-ახ-ნაურობისა მიემატა ათი წლის გან-მავლობაში მოუკიხველობის გამო 29.000 მან., რომელიც ერგებოდა თბ. საადგილ-მამულო ბანკის ყო-ფილ დამფუძნებელთა; ამნარად სულ შემოსავალი უდრიდა 301.534 მან. 61 კაპ. ამ შემოსავლიდან დიხარჯა: სა-თადარიგო თანხაში გადაიღო 19.888 მან. 60 კაპ.; საღებუტატო საქრე-ბულოს შესანახად 13.958 მ. 51 კაპ.; გუბერნიის წინამძღოლს საწა-რმომადგენლოდ 12.000 მ.; სასტი-პენდიოდ 7.530 მ. 74 კ.; სხვადასხვა დაწესებულებას და პირებს შესაწვე-ნად 56.525 მ.; ქართულ გიმნა-ზიას 85.000 მ.; ხელმწიფის, დიდი მთავრის კონსტანტინე კონსტანტი-ნე კონსტანტინეს-ძის მისაღებად, ქართველ რაზმის შესადგენად, სა-ზოგადო მოღვაწეთა სურათების შე-საძენად და სხვ. 17.473 მან. 61 კ.; საადგილ-მამულო კომისიას 22.374 მან. 68 კ.; მაზრის წინამძღოლების კანცელარიების შესანახად 3.600 მან.; პანაშვიდებზე, პარაკლისებზე, განცხადებებზე და სხვ. 4.579 მ. 31 კ.; განსვენებულ დავით მელი-ქიშვილის ასულის მამულის ხოჯო-რის ბანკის გარდასახადი — 1.300 მან.; ხიზნების საკითხზე — 2.411 მ. 86 კ.; დამფუძნებელთა თანხა 29.000 მან. სათადარიგო თანხას მიემატა. სულ ხარჯი უდრიდა 171.973 მან. 2 კ. შემოსავლიდან დარჩა 9.662 მ. 99 კაპ., რომელიც აგრეთვე მიემატა სათადარიგო თან-ხას.

ცნობათა განყოფილება, არსე-ბული მრეწველობისა და ვაჭ-რობის წარმადგენელთა ერთი-ლობის საბჭოსთან.

ომიანობის გამო ჩვენი ვაჭრობა-მრეწველობა მრავალ შემთხვევაში გა-ნიცდის უწყვეტობას. ზოგიერთ მთ დაბრს და ცალკე მოსაქმეებს ჩვე-ულებრივის გზით დამოუკიდებლად აღარ შეუძლიათ დაკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნილება. ჩვენი მრეწველნი და მრეცხენი მოსწყდნენ საზღვარ-გარეთს, სადაც უმოაგრე-სად ჰქონდათ მოწყობილი საფუძველი თავიანთი მოქმედებისა. ამ მხრით ისინი მეტად დამოკიდებულნი იყვნენ გერმანიაზე. ვერც უსკლეს ცალ-ცალკე გაერთიანებულნი იყვნენ ამ დამოკიდებულებისაგან. ამიტომ სა-ხელმწიფოს გაერთიანებულ ვაჭრო-ბის და მრეწველობის ცენტრალურმა ორგანიზაციამ გადასწყვიტა დ ხმა-რებოდა მათ, საკუთალურ ორგანოს დაარსე-ით რომლის მიზანია ცალკე პირთა და დაწესებულებათა ძლ-ლონის გათანაბრება და შეერთება.

ამის გამო ვაჭრობის და მრეწვე-ლობის წარმომადგენელთა ყრილო-ბის საბჭოს კომიტეტის სხდომაზე ამ წლის 10 თებერვლს გადასწყდა ხსენებულ ყრილობის საბჭოსთან ცნობათა განყოფილების დახარება ამ ორგანოში ამ დღეებში უკვე დაიწყო მოქმედება. იგი გასწევს ჩვეულებრივ საინფორმაციო მუშაო-ბას- ე. ი. მიაწოდებს ყველა მსურ-ველს მათთვის საჭირო ცნობებს, რომელიც შეეხება ვაჭრობა-მრეწვე-

ლობას. იგივე ორგანო მიიღებს ყოველგვარ განცხადებას და შეკი-თხვას, რომელიც კი შეეხება საზ-ღვარ-გარეთიდან საქირო საქონლის შემოტანას (იმპორტს) და ჩვენი სახელმწიფოდან სხვა და სხვა გასა-საღებელ საგნების გატანას (ექს-პორტს) ჩვენი მეგობარ-ქვეყნებში.

დაწმენებით შეიძლება ითქვას, რომ ყრილობის საბჭოს ახლად და-არსებული ცნობათა განყოფილება გამოიწვევს დიდ ინტერესს და და-ხმარებას როგორც ხსენებულ დაწე-სებულების მრავალრიცხოვან წვე-რთა მხრით, რომელთათვის უპირ-ველესად დაარსებულია, ისე მოსაქე-ხლობის წრეების მხრით რუსეთსა და საზღვარ-გარეთ.

ზემოხსენებული ცნობათა განყო-ფილება იწყდება ყრილობის საბ-ჭოს კანცელარიასთან (Петроградъ Литейный, 46). დეპეშებისათვის მისამართი: Петроградъ, Ассоциа-ція.

ჩემი განცხადება.

თბილისის ერთ-ერთ იუმორის-ტულ ქურნალში დაბეჭდილია ისე-თი შინაარსის საოხუნჯო სურათი ქვეშ მოწერილი სიტყვებით, რო-მელსაც შეუძლია ვისმე საბაბი მის-ცეს, ვითომც მე აკაკის ლექსის „ხანჯალის“ დაბეჭდვის დროს რა-იმე ცვლილება შემიტანოს მასში. ვალდ ვარც გამოვაცხადო საჯა-როდ, რომ ეს ლექსი უცვლელად არის დაბეჭდილი იმ დენის პირის მიხედვით, რომელიც ხელთ მქონდა 1889 წელს. შეუძლებელია იყო რაიმე ცვლილება შეგვეტანა, რად-განაც, გვერდია, ყოველი გონიერი ადამიანი დიდის მოწიწებით, ვით წმიდათა-წმიდის უნდა ეპყრობოდეს ისეთი მწერლის ხელნაწერს, როგო-რიც აკაკია. საზოგადოდ დიდად სამ-რეუხაროა, რომ ჩვენს იუმორისტულ ქურნალში დამყარდა ერთი ცუ-ლი ჩვეულება: საწყენ ფაქტს იგო-ნებენ და მასზე აფუძნებენ ოხუნ-ჯობას. ჩვენი აზრით კი ოხუნჯო-ბას უნდასაფუძვლად ჰქონდეს რაიმე ნამდვილი ქეშმარიტ ფაქტი, მხო-ლოდ შარკის, საოხუნჯო მიზნით დაზვიადებული. მაშინ მხოლოდ იქნება მნიშვნელობა იუმორისა და სატირისაც.

გრიგოლ დიასამიძე

ახალი ამბავი.

24 მაისიდან თბილისში გამოვა ახალი ქართული ყოველ-დღიური გაზეთი „საქართველო“ ახალგაზრდა პოეტის ალექსანდრე შანშიაშვილის რედაქტორობით. გაზეთში მონაწი-ლეობას ღებულობენ, როგორც უკვე გვქონდა მოხსენებული აზას წი-ნად ახალგაზრდა მწერალი „კლდის“ მიმართულებისა და ზოგიერთი ყა-წყილ-კაცები, რომელთაც საზღვარ-გარეთ მიიღეს სწავლა-განათლება.

◆ ბაქოში უკაბები შემთხვევ-საგან (ცხენიდან გადმოვარდა) გარ-დაიცვალა ახალგაზრდა მრეწველი რაფელ გვარჯელაძე. მისმა მოულო-დნელმა სიკვდილმა ბევრი მისი ნაცნობი და მეგობარი დააოხრა. განსვენებული ჩვენს საზოგადო-ეროვნულ საქმეებს ძალიან თანაუგრ-ძნობდა და ბევრსაც ნივთიერად ეხმარებოდა.

◆ ჩვენმა რედაქციამ მიიღო შემ-დგვი ახლად გადაცემული წიგნები და ქურნალები: 1) სქესობრივი სა-კითხი და ბავშვი, — ი. გომარეთე-ლისა, გამოცემული ს. ნადარეი-შვილის მიერ ქ. ფოთში. ღირს ერთს ამაზად; 2) „ნაკადულის“ № 8 (მცირეწლოვანთათვის) და № 4 (მოზრდილთათვის); 3) ქურნალ „განთიადის“ მეცხრე ნომერი, 8) „ჯეგულის“ აპრილის წიგნი. აგ-რეთვე 9) ორი ნაწილი „სრუ-ლიად რუსეთის საქალაქო კავშირის კავკასიის განყოფილების მოქმედე-ბის მოკლე ანგარიშისა“ თებერვა-ლსა და მარტის განმავლობაში; 10)

ანგარიში თბილისის საკრებულო-ცენ-ტრალურ კომიტეტის მოქმედებისა, რომელიც გამოიხატა ომის გამო დახარალებულების დახმარებაში.

◆ თბილისში გადმოვიდა საორშაბათო გაზეთი „საქართველო“ ახალგაზრდა რედაქტორის ბ. ანა-ის-ეროვნულ საკითხის შესახებ.

◆ 17 მაისს შესრულდა დაუე წყარ მსახიობის და მოღვაწის კოტ-მესხის გარდაცვალების წლისთავი გრძნობიერმა მისმა ამხანაგებმა გუ-შინ სახალხო სახლში გამართეს სა-ყურადღებო შინაარსის სალიტერ-ტურო დღილი.

◆ თეატრსა და ცხოვრებაში ზ-ივერი მოუწოდებს თბ. ქართველ ქალთა საზოგადოებას ითიოს 13 ენკენისთვის წმ. ქეთევან ღვთის-წაულის მოწიგება. წმ. ქეთევან ამ დღეს 1.624 წელსა უწყალოდ აწა-მეს სპარსეთში.

◆ შემოდგომაზე გამოვა ჩვენი მწერლის სოფრომ მგალობლიშვი-ლის ნაწერები რამდენიმე წიგნად.

◆ ენკენისთვიდან გამოვა ახალი ქართული ყოველდღიური ქუროლი „ახალი მოამბე“ ქ. ბ. ნინო ყოთია-ნის რედაქტორობით. ქურნალში ახლო მონაწილეობას იღებს ბ. ივანე გლოაშვილი. ქურნალი წლიურად ელირება ერთ თუმნად.

◆ შაბათს 23 მაისს ქართული სიტყვა კაზხული საზოგადოება ვაჟა-ფშაველას პატივსაცემად სა-ხაზინო თეატრში ჰმართავს ყოვლიად საყურადღებო სალიტერ. საღამოს. თვით პოეტი წაიკითხავს საკუთარ ლექსებს. გრ. რობაქიძე, იოს. მა-ქავარიანი და გრ. რკხილაძე წარ-მოსთქვამენ სიტყვას. წაიკითხავენ ვაჟას ლექსებს. იმდერბენ რომა-ნისიბს ივ. სარაჯიშვილი და შვერ-ზიშვილის ქალი. მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე მ. კავსაძის გუნდი.

◆ ცნობილი ლინგვისტი-მკვლე-ვარი ბ. კოსტანტინე დოდაშვილი ამ ზაფხულს მიემგზავრება სამეც-ნიერო მიზნით სვანეთსა და სამე-გრელოში.

◆ ქართველი ქალები გოლო-ვინის პროსპექტზე გორელიშვილის სახლებში ხსნიან საჩაიეს დაქრიო და ავაიშყოფ მეოპართა სასარგებ-ლოდ.

„ხელოვნების ტაძარი“

ქართველმა ერმა კარგად და ძა-ლიან კარგად უნდა შეიგნოს „ხე-ლოვნების ტაძრის“ გაშენების მშ-შენელობა და მარტო მის გაშენე-ბა არ უნდა დაისახოს მიზნად, რა-მედ მისი გაშენება ულამაზესქა-რთული ხელოვნებით დედა-ქალქის საუკეთესო ალაგას. ეს ადვილსა-ქმე არ არის და რადგან იგი რუ-ლია, დიდ მსხვერპლსაც მოითხვს, დიდმა მსხვერპლმა კი არ უნდა და-გვაბრკოლოს.

ნეტარ ხსენებული ქარესი პე-ბოზდა: „მიზნის დასახვა ამ მანი-საკენ მიმავალი, ნახევარი გზი გა-ვლა არისო“. ეს დიდი ქეშმარიტე-ბაა ბრძენის პირით ნათქვამი. რა-დესაც „ხელოვნების ტაძრის“ ღირ-სეულად აშენების მნიშვნელობას ჩვენ ყველანი ღრმად შევიგნეთ და გადავწყვეტთ ჩვენი დედა-ქალქის ქართული ხასიათის ხელოვნებით გამშვენიერებას, ჩვენ თვალწარმო-შეგნებულად ეროვნული მიზანი აღი-მართება, და როცა იგი აღიშართე-ბა, მის მისაღწევად ნახევარი გზა-ლა დაგვრჩება.

ერის ნამდვილ სახეს ხელოვნება ინახავს; ერის გრძნობის გადმო-ცემი ხელოვნება არის, და თუ გრძნობა ერისა, მისი ეროვნული სული შენახულ იქნება, ვინც რა უნდა მოიქმედოს, ერი მაინც უკე-ლავი და მოუხსპობელი დარჩება. ჩვენი ხელოვნება უფრო მედგარდ დაიცავს ჩვენ სამშობლოს, ვიდრე

ელექტრო-ბეჭდავი სტამბა ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ.